

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ისტერნ პრომოუშენს“

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება-----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6-20

შპს "ისტერნპრომოუმენს"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	<u>3</u>	18,252.0	239,732.0
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	<u>4</u>	24,900.0	18,021.0
წინასწარ გადახდილი გადასახადები		337,985.0	372,118.0
სხვა აქტივები	<u>5</u>	989,663.0	278,864.0
ძირითადი საშუალებები	<u>6</u>	30,507.0	37,862.0
სულ აქტივები		1,401,307.0	946,597.0
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>8</u>	2,461,078.0	1,493,603.0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		1,279,641.0	0.0
სულ ვალდებულებები		3,740,719.0	1,493,603.0
საწესდებო კაპიტალი		50.0	50.0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(2,339,462.0)	(547,056.0)
სულ კაპიტალი		(2,339,412.0)	(547,006.0)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,401,307.0	946,597.0

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



შპს " ისთერნ პრომოუშენს "

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის
დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	<u>9</u>	3,850,192
თვითღირებულება	<u>10</u>	(16,829)
საერთო მოგება		3,833,363
სხვა შემოსავლები		920,833
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		(5,559,190)
საოპერაციო მოგება		1,725,827
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(66,579)
ზარალი	-	(1,792,406)
მოგების გადასახადი		-
დაუფარავი ზარალი	-	(1,792,406)
მთლიანი სრული ზარალი	-	(1,792,406)

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



შპს "ისტერნ პრომოუშენს"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,431,392)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1,235,931
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(195,461)
სავალუტო კურსის ეფექტი	(26,019)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	239,732
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	18,252

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2018	31.12.2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	18,252	239,732
სავაჭრო მოთხოვნები	24,900	18,021
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	337,985	372,118
მარაგები	3,474	14,864
- მზა პროდუქცია		
- სხვა	3,474	14,864
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	986,189	264,000
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	30,507	37,862
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	1,401,307	946,597

ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	2,174,839	1,417,358
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	159,237	62,700
საგადასახადო ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	113,279	8,014
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1,279,641	
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	13,723	5,531

სულ ვალდებულებები	3,740,719	1,493,603
-------------------	-----------	-----------

საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	50	50
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(2,339,462)	(547,056)
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
სულ საკუთარი კაპიტალი	(2,339,412)	(547,006)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,401,307	946,597

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	2018 წელი
ნეტო ამონაგები	
საქონლის გაყიდვიდან	
მომსახურების გაწევიდან	3,850,192
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(16,829)
საწყისი მარაგები	(14,864)
მარაგების შესყიდვა	(5,439)
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	3,474
საერთო მოგება	3,833,363

სხვა შემოსავალი	920,833
დასაქმებულთა ანაზღაურება	(467,196)
ცვეთა და ამორტიზაცია	(7,512)
საპროცენტო შემოსავალი:	34,402
საპროცენტო ხარჯი :	(101,818)
იჯარის ხარჯი	(5,669)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(5,932,230)
სულ საოპერაციო ხარჯები	(5,559,190)

საოპერაციო მოგება	(1,725,827)
--------------------------	-------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	

სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(66,579)
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(1,792,406)
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	(1,792,406)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	
სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(1,792,406)

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(547,006)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(1,792,406)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(2,339,412)

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ისტერნ პრომოუშენს“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2010 წლის 5 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404385606. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.თბილისის ძველი თბილისის რაიონი, მელიქიშვილის ქ. #1, ფაქტიური მისამართი თბილისი, მელიქიშვილის ქ.#1. კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2011 წლის 23 მარტიდან.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სახელოვნებო ღონისძიებების გამართვა. შპს „ისტერნ პრომოუშენს“ ახდენს მსოფლიო ვარსკვლავების საქარელოში ჩამოყვანას და მართავს საერთაშორისო დონის კულტურულ ღონისძიებებს: კონცერტებს; ფესტივალებს. კომპანიის 90%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია გიორგი კერესელიძე, ხოლო 5% წილის მფლობელია ივანე კანდელაკი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 50 ლარს. 2018 წლის 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 14 ადამიანი , ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით 18 ადამიანი .

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს, კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2018 წლის ფულადი სახსრების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ფუნტ სტერლინგი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,3955	3,0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,5005	3,1044

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიკვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება MIDL მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით.

თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება

ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა

შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის ცვეთის მეთოდით,

სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი ისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და

სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და

შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

შენიშვნა 3 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2018 წლი დეკემბერი	2018 წლი იანვარი
ფული სალაროში	0	2,412.0
ფული საბანკო ანგარიშებზე	18,252.0	237,320.0
სულ ჯამი	18,252.0	239,732.0

შენიშვნა 4 -სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

ლარში	2018 წლი დეკემბერი	2018 წლი იანვარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	24,900.0	18,021.0
სულ ჯამი	24,900.0	18,021.0

შენიშვნა 5 - სხვა აქტივები

ლარში	2018 წლი დეკემბერი	2018 წლი იანვარი
სხვა მარაგები	3,474	14,864
მოკლევანიანი სესხები	236,200	228,400
მისაღები პროცენტები	69,300	35,600
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	680,689	0
სულ ჯამი	989,663	278,864

შენიშვნა -6
ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა	ჯამი
ლარში				
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	941	40,600	4,043	45,584
შესყიდვა	-	157	-	157
გასვლა	-	-	-	-
გაუფასურება				-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია				-
გადაფასების რეზერვი				-
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	941	40,757	4,043	45,741
დაგროვილი ცვეთა				
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	188	6,725	809	7,722
ცვეთის ხარჯი	203	6,657	652	7,512
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	391	13,382	1,460	15,234
საბალანსო ღირებულება				
2017 წლის ბოლოს	753	33,875	3,234	37,862
2018 წლის ბოლოს	550	27,375	2,582	30,507

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	2018 დეკემბერი	წ	2018 იანვარი	წლის 1
სავაჭრო ვალდებულებები	806,584		0	
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	159,237		62,700	
მიღებული ავანსები	1,368,255		1,417,358	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	13,723		5,531	
მოკლევადიანი სესხი	100,000		8,000	

გადასახდელი %
სულ ჯამი

13,279
2,461,078

14
1,493,603

შენიშვნა 9 - ამონაგები

ლარი	2018 დეკემბერი	წლს
მომსახურების რეალიზაცია	3,850,192	
სულ ჯამი	3,850,192	

შენიშვნა 10 - თვითღირებულება

ლარი	2018 დეკემბერი	წლს
მომსახურების თვითღირებულება	(16,829)	
სულ ჯამი	(16,829)	

კომპანია ფინანსური შემოსავლის აღიარებას ახდენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით;

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები:

2019 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის წინააღმდეგ სარჩელის წარმოება მიმდინარეობს;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად
დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბრით;

დირექტორი:

